ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებები

## რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

23 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 140

1-ლ ქვეითა დივიზიის უფროსმა გენერალ-მაიორმა ართმელაძემ შემატყობინა, რომ ამ წლის 18 ივნისს გაემგზავრა ქ. ფოთს მე-3 ქვეითა პოლკის დასათვალიერებრათ და დივიზიის უფროსის მოვალეობათა დროებით აღსრულება დაავალა გენერალ-მაიორ ციციშვილს.

20 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 141

სამხედრო სატოპოგრაფიო განყოფილების პოლკოვნიკმა იორდანიშვილმა მოხსენებით შემატყობინა, რომ ამ წლის ივნისის 14-ს გაემგზავრა სოხუმის ფრონტის უფროსის განკარგულებაში ტოპოგრაფიულ საქმეთა საწარმოებლათ.

20 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 142

1918 წ. დეკემბერში სომხის ჯარების მოულოდნელი დაცემის გამო მე-2 მანგლისის რაზმის ხარისხოსანთა მიერ დაკარგული ნივთების რაოდენობის გამოსარკვევად და აგრეთვე მათ დაკმაყოფილების საკითხის გადასაწყვეტად ვნიშნავ კომისიას შემდეგის შემადგენლობისას: თავმჯდომარე გენერალ-მაიორი წულუკიძე გიორგი, წევრები—პოლკოვნიკი კაკაბაძე და პოლკოვნიკი თულაშვილი და კონტროლის წარმომადგენელი, რომელსაც დანიშნავს სახელმწიფო კონტროლიორი.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,

გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი**